ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 65
(გამარტრივებული შესყიდვა cpv 30213100)

ქ. ფოთი 9 „ივნისი“ 2023 წ.

ერთის მხრივ,
ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მრავალფუნქციური საცურაო კომპლექსი (იურ.მის: საქართველო, ქ. ფოთი, პოლიკარპე ზერაგიას ქუჩა, N 49. ს/კ 415111113) საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა. ბანკის კოდი: TRESGE22; A/A 300429921 წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ნიჟარაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და

მეორეს მხრივ, **შპს „იუ ჯი თი“ ს/კ 204892964**, **მისამართი:** ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N 17. ტელ: +995 322220505 **გენერალური დირექტორი:** ერმილე სულაძე **საბანკო რეკვიზიტები:** სს „თიბისი ბანკი“; ბანკის კოდი: TBCBGE22; ა/ა: GE05TB0600000005467291 (შემდგომში ”მიმწოდებელი”) შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

1.1 ”ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” (შემდგოში - ”ხელშეკრულება”)- შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 ”ხელშეკრულების ღირებულება” - საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.
1.3 ”შემსყიდველი” - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.4 ”მიმწოდებელი” - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მოწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

2.1 ხელშეკრულების თანახმად „მიმწოდებელმა“ უნდა მიაწოდოს „შემსყიდველს“ 2 ცალი კომპიუტერი - ნოუთბუქი.

N	CPV კოდი	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ფასი	ღირებულება
1	30213100	ნოუთბუქის მოდელი: Acer Extensa 215-54 პროცესორი: Intel Core i5-1135G7, 4 Cores, 8 Threads, 8M Cache, 4.2 GHz Max Boost Clock ეკრანის ზომა: 15.6”, LED, რეზოლუცია: 1920x1080 ოპერატიული მეხსიერება: 8 GB WebCam: გააჩნია ვიდეო კარტა: ინტეგრირებული; მყარი მეხსიერება: 256GB PCIe NVMe Value SSD ports: rj45, 3xUSB, HDMI	ცალი	2	1645.00	3290.00

		გარანტია: 1 წელი OS: Win 11 Pro eng 64 Bit				
სულ:						3290.00

2.2 მოსაწოდებელი საქონელი უნდა იყოს ახალი, ექსპლუატაციაში არ ნამყოფი, მას უნდა მოყვებოდეს შესაბამისი დოკუმენტი: პასპორტი ან/და მომხმარებლის ინსტრუქცია.

2.3 საქონლის მოწოდების ადგილი: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N 17.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 3290.00 (სამიათას ორას ოთხმოცდაათი ლარი 00 თეთრი) ლარი დ.ღ.გ–ს ჩათვლით.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან და მოწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.
3.3 შესყიდვა ხორციელდება 2023 წლის საკუთარი სახსრები 100%.

4 საქონლის მიწოდების ვადები და გარანტია

4.3 შესყიდული საქონლის მიწოდება, უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ სრულად არაუგვიანეს 2023 წლის 19 ივნისის ჩათვლით.
4.2 შესყიდული საქონლი უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო. იმ შემთხვევაში, თუკი ნივთი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გამოავლენს ხარვეზებს, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ნაკლის გამოსწორება ან ნაკლიანი ნივთის შეცვლა, ნივთზე თანდართული საგარანტიო ბარათის პირობების შესაბამისად.
4.3 **საგარანტიო ვადა** – შესყიდულ საქონელზე უნდა გავრცელდეს გარანტია არანაკლებ 1 წელი.
4.4 წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში „მიმწოდებელს“ დაეკისრება ჯარიმა სახელშეკრულებო ღირებულების 2% – ის ოდენობით.
4.5 თუ საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელი არ აღმოფხვრის ხარვეზს რომელიც საგარანტიო პირობებში შედის, შემსყიდველი თავისივე ხარჯებით აღმოფხვრის ხარვეზს, ხოლო მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველის მიერ გაწეული ხარჯების ანაზრაურება.

5 ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 ხელშეკრულების საერთო ფასი გამოსახულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის შესყიდვასთან და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა სახის გადასახადის გათვალისწინებით.
5.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით **(ავანსი არ გამოიყენება).**
5.3 ანგარიშსწორებისთვის „მიმწოდებელმა“ უნდა წარმოადგინოს:
- საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა ან/და სასაქონლო ზედნადები; ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება ჩაბარების აქტი.

5.4 ანგარიშწორება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულების 5.3 პუნქტში მოცემული დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. ეროვნულ ვალუტა – ლარში, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

6 მიღება-ჩაბარების წესი

6.1 საქონლის მიღებისას მოხდება საქონლის ტექნიკური პარამეტრების შემოწმება.
6.2. შესყიდული საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის და ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

7 მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

ა) საქონლის მიღებისას შეამოწმოს მოწოდებული საქონლის ტექნიკური პარამეტრები. თუ მოწოდებული საქონლის ტექნიკური პარამეტრები არ ემთხვევა მოთხოვნილ ტექნიკურ პარამეტრებს შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი, ან/და შეწყვიტოს ხელშეკრულება.
ბ) უზრუნველყოს „მიმწოდებლი"–ს მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
ა) მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;
ბ) საქონლის მიღებისას შეამოწმების შედეგად თუ დადგინდა, რომ მოწოდებული საქონლის ტექნიკური პარამეტრები არ ემთხვევა მოთხოვნილ ტექნიკურ პარამეტრებს „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს მომსახურებას ნივთზე თანდართული საგარანტიო ტალონის შესაბამისად.
7.4. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს „შემსყიდველ"–ს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8 მხარეების პასუხისმგებლობა

8.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით - ხელშეკრულების საერთო თანხის 0,2 % - ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.2 საჯარიმო სანგციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%–ს, თითოეულ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
8.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2 % – ის ოდენობით.

9 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს „შემსყიდველი"–ს მიერ გამოყოფილი თანამშრომელი თეა გუნია .
9.2. ინსპექტირება გულისხმობს „მიმწოდებლი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ვალდებულებების შესრულების და მოწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.
9.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი"–სთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.
10.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამისილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მეორე მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
10.4 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუზველზე.

11 ფორს მაჟორი

11.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის ფორს მაჟორის შემთხვევაში, როდესაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია.
11.2 ფორს-მაჟორის ქვეშ იგულისხმება გარემოება, რომელიც არ არსებობდა ამ ხელშეკრულების დადებისას და რომლის თავიდან აცილება, ან გადალახვა მხარეს არ შეეძლო.

11.3 მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ (ფორს - მაჟორის დადგომიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა) აცნობოს მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ. შეუტყობინებლობის ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი უნდა დადასტურდეს.
11.4 ფორს მაჟორის მიუხედავად მხარე, რომლისთვისაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი ხდება, კეთილსინდისიერებისა და გონიერების ფარგლებში, მიმართავს ვალდებულების შესრულების ყველა შესაძლო ალტერნატიულ ხერხს.
11.5 თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა 30 დღეზე მეტ ხანს გრძელდება, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

12 სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის ამ ხელშეკრულებასა ან მის განხორციელებასტან დაკავშირებული ნებისმიერი სადაო საკითხი მოლაპარაკების მეშვეობით მოაგვარონ.
12.2 თუ სადავო საკითხი მოლაპარაკებით ვერ მოგვარდა, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13 შეტყობინება

13.1 თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა წარმოებს წერილობითი ფორმით და იგზავნება საფოსტო (ასევე ელექტრონული ფოსტის) გზავნილის სახით ან მიეწოდება უშუალო ადგილსამყოფელის მიხედვით. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
13.2 მხარის მიერ შეტყობინება მიწოდებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მან შეტყობინება გაგზავნა გაგზავნა მეორე მხარის ყოფილ მისამართზე, რომელიც მან შესაძლოა შეცვალა, მაგრამ ამის თაობაზე არ აცნობა მეორე მხარეს. ამ შემთხვევაში შეტყობინება მიწოდებულად ითვლება გაგზავნის მეორე სამუსაო დღეს.

14 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.
14.2 წინამდებარე პუნქტები 4.2; 4.4; 8.4 და მე -8 მუხლი მოქმედებს ვალდებულების სრულ შესრულებამდე.

15 სხვა პირობები

15.1 არცერთმა მხარემ მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანადდა არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

15.2 ყველა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

15.3 ხელშეკრულების დადების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტი (10000 ლარამდე შესყიდვა, ზღვრების შესაბამისად).

შემსყიდველი:

ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მრავალფუნქციური საცურაო კომპლექსი

დირექტორი: N(N)LE "Multi-Function Swimming Complex of Poti Municipality" Digitally signed by N(N)LE "Multi-Function Swimming Complex of Poti Municipality" Date: 2023.06.09 17:09:26 +04'00' გიორგი ნიჟარაძე

მიმწოდებელი:

შპს „იუ ჯი თი“
გენერალური დირექტორი: UGT LLC Digitally signed by UGT LLC Date: 2023.06.09 16:57:40 +04'00' ერმილე სულაძე